ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

15 - 28 მარტი 2013 წელი №5 №8039 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.

გვ7. მე ქრისტიანი

საკალდებულო სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარეობს

გვ2.

კასპში მიწის ფართობების მოხვნა დაიწყო

გვ2.

ქალთა დღის აღსანიშნავად

გვ2.

გვ2.

ვის უსმენენ თინეიჯერები?

გვ4.

ცხემშობლო, რიოგორც ოფლი ...

გვ2.

გვ4.

ჯვროთა თემი თემძვმი

შეუცნობელი

გვ7.

გაზაფხული მოვიდა და ...

გვ5.

კასპში მიწის ფართობების მოხვნა დაიწყო

კასპის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, პირველი ეტაპის - მიწის ფართობების მოხვნის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი სოფელ ქვემო ჭალაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით შერვაშიძემ, საქართველოს პარლამენტში კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ონოფრიშვილმა, შპს "მექანიზატორი"- ს გენერალურმა დირექტორმა ვაჟა ნახუცრიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ოლეგ იაძემ, მისმა მოადგილემ დალი დავითაშვილმა და კასპის სერვის ცენტრის მმართველმა ვასილ გზირიშვილმა დაათვალიერეს.

პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტში 7 041 სასოფლო-სამეურნეო ბარათია მოსული. მუნიციპალიტეტში მოსახნავია სულ 5 200 ჰა მიწის ფართობი, მოხნული კი 680 ჰექტარია.

სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით შერვაშიძემ და შპს "მექანიზატორი"-ს გენერალურმა დირექტორმა ვაჟა ნახუცრიშვილმა აღნიშნეს, რომ სამუშაოების (ხვნა და კულტივაცია) ტემპი დაჩქარდება, აგროვადებში დასრულდება და შემდგომ თესვის პროცესი დაიწყება. მეორე ეტაპზე მიიღება ნომინალური ბარათი, რომლითაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა.

ამჟამად ხვნის პროცესი მიმდინარეობს ხოვლის, წინარეხის, ქვემო ჭალის, ქვემო გომის, კასპის, სამთავისის, ოკამის, მეტეხის, ლამისყანის, კოდისწყაროს, კავთისხევის, თელიანის, ახალციხის, ახალქალაქის და აღაიანის ტერიტორიულ ორგანოში.

უფასო ხვნა-კულტივაცია, მოსახლეობას ეხმარება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების დამუშავებაში.

ძიუდოისტი გიორგი საჩალელი

ქვემოჭალელმა, 20 წლის გიორგი საჩალელმა 2 მარტს ყვარელში ჩატარებულ ევროპის შესარჩევ სარეიტინგო ტურნირზე, ჭიდაობა ძიუდოში - პირველი ადგილი დაიკავა.

გიორგი 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭიდაობს. მარტის თვეში საბერძნეთში ევროპის ტურნირზე გასამგზავრებელ მონაწილეთა შესარჩევი ტური გაიმართება. გიორგი საჩალელი საქართველოს ნაკრებთან ერთად საბერძნეთში გაემგზავრება. წარმატებული გამოსვლა მას საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს ევროპის პირველობაზე. ახალგაზრდა მოჭიდავე იმედოვნებს, რომ წარმატებას მიაღწევს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი.



80 წელი თქვენს გვერდით
გ ა მ ო ი ნ ე რ ე თ
„ახალი განთიადი„!

სავალდებულო სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარეობს

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 31 იანვრის №46 ბრძანებულების "სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2013 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ" თანახმად, კასპის მუნიციპალიტეტში სავალდებულო სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარეობს.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის უფროსის თემურ შაქარაშვილის განმარტებით გეგმით 33 წვევამდელია გასაწვევი, დღეის მდგომარეობით კი 13 გაწვეული. გაწვევა მიმდინარე წლის 30 ივნისს დასრულდება.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ოლეგ იაძემ აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება და ერთიანობა საჭიროებს მაღალკვალიფიციურ ჯარისკაცს, ამიტომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ხელშეწყობა ჩვენი მიზანია. წვევამდელთა ტრანსპორტირებას მუნიციპალიტეტის გამგეობა უზრუნველყოფს, ხოლო ადგილობრივი პოლიცია იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამოცხადებაში გვეხმარება, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას. მუნიციპალიტეტში გაწვევის გეგმა შესრულდება.

„სამშობლო, როგორც უფალი" ...

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, ამას წინათ, ბევრი სტუმარი ეწვია, მათ შორის იყვნენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, პედაგოგები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, მოწვეული სტუმრები. მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს თეატრალიზებული წარმოდგენა: „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა," ღონისძიება მოამზადა მოსწავლეთა სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოსწავლეები /ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კასპის პირველი და მეოთხე საჯარო სკოლები/ ქრისტინე ბუთხუზი, შოთა ნაროზაშვილი, სალომე სიხარულიძე, მარიამ წიკლაური, ხატია მიქელაძე, თაკო ბერიძე, გვანცა გერმისაშვილი, ჯორჯი ჯანვერდაშვილი, ლიკა ოდიშვილი, ლიკა გამხიტაშვილი, მარი აბულაძე, მარი ბეჟიტაშვილი, ანი ჯალალი, ქეთი ბერიაშვილი, ლუკა ნოდარიშვილი, გიორგი პოლოცკი, დათო მარიამიძე, თეონა თაბუკაშვილი, ლიზი ქურთაული, ქეთი წიკლაური ემოციურად გამოვიდნენ მაყურებლის წინაშე. მათ შეძლებისდაგვარად სცენაზე გააცოცხლეს ქართველთა ისტორია, თავდადებულ მამულიშვილთა და სახელოვან მეფეთა საქმენი საგმირონი, თევდორე მღვდლისა და ბერი ლუხუმის პატრიოტული თავგადასავალი. მოსწავლეებმა ისიც შეახსენეს თანატოლებსა და მომავალ თაობას, რომ ჩვენს მრავალ ჭირგამოვლილ სამშობლოს გაფრთხილება და მოვლა სჭირდება.

დარბაზისა და მაყურებლის ოვაციები და დიდი მოწონება დაიმსახურა მუხრან მაჭავარიანის საყოველთაოდ ცნობილი ლექსის /„მზე ამოდიოდა"/ მიხედვით შექმნილმა ლიტერატურულ

* დასასრული მე-5 გვ.

ქალთა დღის აღსანიშნავად

ქალთა განსაკუთრებული პატივისცემის ერთი დღე - 8 მარტი ყოველთვის არაერთგვაროვან გამოხმაურებას პოულობდა. ყველა მხარეს ჰქონდა საფუძველი და საკამათო, მაგრამ რაკი ამ დღესასწაულმა ოცდამეერთე საუკუნის ანუ 2013 წლის მარტამდეც მოაღწია ე.ი. მამაკაცები და ქალბატონები მაინც აღიარებენ სამყაროს მშვენიერი ნაწილის თაყვანისცემის გამორჩეულ დღეს.

სხვათა შორის, ეს დღესასწაული პირველად ზუსტად ერთი საუკუნის წინ 1913 წელს აღუნიშნავთ გერმანელ ქალბატონებს, მერე იტალიელებს და რუსებს ... ამ დღეს დღემდე არ აღიარებენ ფრანგები.

ამ სტატისტიკის გააზრების შემდეგ ხვდები, რომ დღესასწაული დროთა განმავლობაში მეტნაკლებად აქტუალური იყო, ცვალებადი იყო მასთან დამოკიდებულება, მაგრამ ერთი რჩებოდა მუდმივად - დღესასწაულის აღსანიშნავად სარვამარტო საჩუქართან ერთად აუცილებელი იყო შეხვედრები. მგონი სწორედ ამ უკანასკნელის დამსახურებაა 8 მარტის საუკუნოვანი ისტორია.

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად კასპის რიტუალების სახლში გამართული შეხვედრისათვის სპეციალური პროგრამა მოამზადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა (სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე) და კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანებამ (დირექტორი ქართლოს ხორგუაშვილი).

შეხვედრაზე დამსწრე საჯარო სამსახურში დასაქმებულ ქალბატონებს დღესასწაული მიულოცა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა ოლეგ იაძემ. მისი გულთბილი მილოცვის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხალხური სიმღერის ანსამბლმა "მოურავი" (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ლოტბარი გივი ბახტაძე), ზაზა მენაბდიშვილმა, დუდანა ნიპარიშვილმა, მიხო ქოსაშვილმა, მერაბ მერებაშვილმა, რეზო კერესელიძემ, პაატა თათრიშვილმა, რომან გიგილაშვილმა; ანსამბლ "ორქიდეას" (ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი) წევრებმა: ციცი შუკაკიძემ, მედეა ბეჟიტაშვილმა, მარი მაისმედაშვილმა და შაკო ბერიანიძემ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ქორეოგრაფიულ ანსამბლ "რკონი-"ს (ქორეოგრაფი მაკა დათაშვილი) სოლისტები: სალომე მუხიგულაშვილი, ნინო ხუროშვილი, ქორეოგრაფიული ანსამბლი "ქორეოლოგია" (ქორეოგრაფი ხათუნა გაგაძე), სოლისტები: მარიამ ბუთხუზი, თორნიკე კიტრიაშვილი. საღამოს უძღვებოდა კონფერანსიე კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ხათუნა ბზიკაძე.

დამსწრე საზოგადოებას დღესასწაული მიულოცეს იაგო დემეტრაშვილმა, გენადი ხაჩიძემ, მარიკა ფეიქრიშვილმა, გოგი მერაბიშვილმა, ლია მენაბდიშვილმა, ნოდარ ცინცაძემ, შოთა გოგიაშვილმა, გივი მელაძემ, ტარიელ ბეგლარაშვილმა.

შეხვედრის დამსწრე ქალბატონთა შთაბეჭდილებების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ საღღესასწაულო საღამო შედგა. მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს.

ნ. დოდაშვილი.

საქველმოქმედო აქცია

ქვეყნის მასშტაბით გლობალტივის მიერ წამოწყებული საქველმოქმედო აქცია, რომელიც ითვალისწინებს ყველა ოჯახის უზრუნველყოფას სატელიტური ანტენებით (თეფშების დამონტაჟება), ჩვენს რეგიონშიც ორგანიზებულად ხორციელდება. უკვე ასობით და ათასობით ოჯახი გამოთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ წლების განმავლობაში ნანატრი ოცნება აუხდათ. ბევრი ოჯახი იმის გამო, რომ ანტენის შეძენის საშუალება არ ჰქონდა, ვერ უყურებდა მისთვის სასურველ სატელევიზიო გადაცემებს.

- ორი თვის წინ დაიწყო ანტენების დამონტაჟება, მსურველი რა თქმა უნდა, ბევრია, - აცხადებს ქვემო გომის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული დავით მჭედლიშვილი, - მინდა იცოდეს ყველა ოჯახმა, რომ ყველა მათგანი ისარგებლებს ამ სიკეთით. პირველ რიგში მარტოხელა პენსიონერები დაკმაყოფილდებიან. ერთადერთი საკითხი, რომელიც შეიძლება პრობლემად ჩაითვალოს, დროა, ყველას ერთბაშად ერთ დღეს ხომ ვერ მოემსახურებიან ბრიგადის წევრები, რომლებიც უანგაროდ შრომობენ და ხელს უმართავენ ხალხს.

დღე ისე არ დასრულდება, რომ სოფელში 4-5 ოჯახი არ გაახარონ და მოიმადლიერონ ენთუზიასტმა ოსტატებმა ვახტანგ მჭედლიშვილმა და დავით მამულაშვილმა, რომლებიც თვეზე მეტია კარდაკარ დადიან და თანასოფლელებს ანტენებს უმონტაჟებენ.

- ასეთი ძვირადღირებული ტექნიკის შესაძენად ყველას არ მიუწვდება ხელი, საუბრობს პენსიონერი მარიამ ნატროშვილი, - არადა, ტელევიზიის ყურების სურვილიც ხომ დიდია, ეს კი, რა თქმა უნდა, ანტენის გარეშე წარმოუდგენელია, ახლა ეს პრობლემა მთელ სოფელს მოეხსნება.

მარტო ქვემო გომში კი არა, ანტენებს ამჟამად ამონტაჟებენ ნიაბში, ბორტაში, ერთი სიტყვით მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში.

რუსუდან ქართლელიშვილი.

"მე შენში მიყვარს ..."

ქალაქ კასპის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა თემატური საღამო "სიყვარული სულგრძელია". საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის მთავარმა სპეციალისტმა ეთერ ჩადუნელმა, რომელმაც შეკრებილებს საინტერესოდ ესაუბრა თემაზე "სიყვარულის არსი".

თემაზე "სიყვარული აშულურ პოეზიაში"- ისაუბრა ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ლია ნიპარიშვილმა.

ქართველ მწერალთა სასიყვარულო თავგადასავლებზე საინტერესოდ მოუთხრო დამსწრე საზოგადოებას მოხსენებაში "მე შენში მიყვარს ღმერთი" ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა.

თემატური საღამო იყო საინტერესო, ემოციური და მხატვრული დეკლამირებით გაჯერებული. საქმე ის გახლავთ, რომ ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა დალი მარქარაშვილმა და ხათუნა ბახუაშვილმა წარმოადგინეს პატარა ლიტერატურული კომპოზიცია "ცხრა შეკითხვა სიყვარულის რაობისათვის," რომელიც გოდერძი ჩოხელის ნოველების მიხედვით იყო შედგენილი და მსმენელთა მოწონებაც დაიმსახურა.

ბიბლიოთეკის სპეციალისტი ეკა დალაქიშვილი დამსწრეთა წინაშე წარსდგა ჩანახატით "მე შენ მიყვარხარ", ხოლო ბიბლიოთეკის სპეციალისტმა მერი გზირიშვილმა წაიკითხა ჩანახატი და ლექსი.

ლიტერატურული ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ბიბლიოთეკის სპეციალისტმა მაია აბუაშვილმა. თემატური საღამო დაასრულა ნიკო გომელაურის ხმამ ლექსით "მე შენში მიყვარს ღმერთი".

თემატურ საღამოსთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს - კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ნუნუ ყიფიანმა, გაერთიანების სპეციალისტმა ვალიდა უზნაძემ, მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტმა დალი კოტიაშვილმა და სხვებმა.

თემატური საღამო დადებითად შეაფასა თავის გამოსვლაში ბიბლიოთეკის დირექტორმა ვენერა ბესტავაშვილმა.

,,ახალი განთიადი,, იძიებს ყველა დონეზე ყურადღებას ადგილობრივ-მკვიდრნის შეხვედრას. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - დადგეთ თქვენი ყველა ჩვენს მკვიდრნეში!

გამოგვიგზავნეთ ყველანაირი დონის ამბები!

ვის უსმენენ თინეიჯერები?

თუ პროვინციული ქალაქის ცხოვრების ქრონიკებს გადავხედავთ, შეუიარაღებელი თვალითაც შევამჩნევთ, რომ გამოჩენილ (გნებავთ გამორჩეულ) თანამემამულეებთან შეხვედრა ყველაზე ხანგრძლივ და მნიშვნელოვან კვალს ტოვებს. თითქოს დროში გავრცობილად გრძელდება საუბარი, ხმამაღლა ფიქრი საქვეყნოდ თუ სუბიექტურად მნიშვნელოვან ავ-კარგზე. არც ისაა გასაკვირი მოისმინო: "მარჯანიშვილის თეატრის სტუმრობისას მავანმა მსახიობმა თქვა ..." არადა ეს შეხვედრა, აგერ 30 წლის წინ იყო ... ასეთი გახსენებები ძალიან ხშირია ჩვენს ქალაქში, იმ შეხვედრათა "სიძველეს" არავინ ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ასეა, ჩვენთან დიდი ინტერესით ელიან საინტერესო პიროვნებებთან შეხვედრებს, მერე სტუმრის პატივისცემა და სიყვარული თუ იგრძნეს, თავად მორჩილად ხდებიან საინტერესო საუბრების "მაგიის მსხვერპლნი."

ჩვენს ერთგულ მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ წლის დასაწყისში "არტ-კაფეში" გამართული საახალწლო შეხვედრის გაშუქებისას აღვნიშნეთ, რომ კაფის მესვეურნი სამომავლოდ საინტერესო შეხვედრებს გვპირდებოდნენ. ჩვენ კი დავწერეთ, მაგრამ გულის სიღრმეში ცოტა უიმედოდ ვუცქერდით პერსპექტივას. სასიამოვნოდ გვიმტყუნა ინტუიციამ. "არტ-კაფეს" მფლობელმა გია მზარეულაშვილმა და ჩვენმა თანაქალაქელმა ვანო ჯახუამ საინტერესო შეხვედრა მოუწყეს ქალაქის სკოლების მოსწავლეებს თეატრთმცოდნე, სცენარისტ, ტელეწამყვან ნიკა წულუკიძესთან.

შეხვედრა დაგეგმილი იყო დიალოგის ფორმატში, მაგრამ სტუმრის მეტყველების მანერამ, გახსნილმა და საინტერესო საუბარმა დიდი ხნით "მონუსხა" და ჩააფიქრა ახალგაზრდები. საერთოდ, იქ მყოფთ გაუჩნდათ განცდა, რომ დიდი ხანია მეგობრობენ ნიკა წულუკიძესთან. სტუმარი ისე კარგად საუბრობდა მოსწავლეებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე, გაჩნდა სამომავლოდ უფრო ფართომასშტაბიანი შეხვედრის სურვილი. იდეა მართლაც, სიცოცხლისუნარიანი გახლავთ, - დავფიქრდეთ რამდენი ხნით შეგვიძლია ვიყოთ საინტერესო ახალგაზრდებისათვის, რამდენ ხანს გვისმენენ ან ვუძლებთ ჩვენს საყვარელ თინეიჯერებს?

ჰოდა, თუ გულწრფელად ვაღიარებთ სიმართლეს, შევახვედროთ ჩვენი შვილები განათლებულ, საქმიან, არაპოლიტიზირებულ, საინტერესო ადამიანებთან. ნუ დავტოვებთ მათ პოლიტიკოსთა დებატების ამარა, თორემ სულ მალე, როცა ისინი დაიწყებენ ქვეყნის მართვას, ახლა ჩვენ (მამათა თაობას) დაგვტოვებენ სუროგატი, გამოგონილი, ნათამაშები სიმართლის ამარა.

შეხვედრაზე ნიკა წულუკიძემ გაიხსენა პატრიარქის სიტყვები - სიღარიბეს ნუ შეეჩვევითო. იქვე უამბო ახალგაზრდებს საკუთარი ბავშვური შრომით "მოპოვებული" გასამრჯელოს შესახებ და დასძინა - მას შემდეგ მგონია, სულ იმ ფულს ვხარჯავო. ქვესათქმელი - საკუთარი შრომით მოპოვებული ყოველი თეთრი უმნიშვნელოვანესია და ... - კარგად გაიგეს მოსწავლეებმა და რა თქმა უნდა, სტუმრის ნათქვამში ისიც დაინახეს, როგორი გულწრფელობით და სიამაყით იხსენებდა ცნობილი ადამიანი არც ისე სახალისო შრომის თვეებს.

კარგი იქნებოდა, ჩვენს ქალაქში არსებობდეს შეხვედრების სახლი, სადაც ახალგაზრდები თავისი სურვილით მოიწვევდნენ საინტერესო თანამემამულეებს, მათგან ისწავლიდნენ ცხოვრების ავ-კარგს, გაარჩევდნენ ტყუილსა და მართალს, თვალებს დაასვენებდნენ კომპიუტერისგან, დიალოგის კულტურას დაეუფლებოდნენ ...

და ბოლოს, მადლობა შეხვედრის ორგანიზატორებს, განსაკუთრებული მადლობა ნიკა წულუკიძეს საინტერესო საუბრისათვის.

P.S. სხვათა შორის ნიკა წულიკიძის ბებო და პაპა ჩვენს ქალაქში ცხოვრობენ.

ნანა მერებაშვილი.



ქალთა თემი "თეძამი"

რამდენიმე ხნის წინ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ახალქალაქელ მოსწავლეთა თექის ნამუშევრები მეტეხი პალასში გამართულ გამოფენაზე გაიყიდა. ბუნებრივია, ამ ამბავმა დაგვაინტერესა. როგორც გავარკვიეთ თექის დამუშავებას ახალგაზრდები სწავლობენ ქალთა თემ -"თეძამის" დახმარებით.

ა.ა.ი.პ. ქალთა თემი "თეძამი" 2008 წელს დააფუძნა ქელერების საქველმოქმედო ფონდმა. საქართველოში მათი წარმომადგენელია მარგრეტ ვეგმანი. ქალთა თემ "თეძამი-"ს გამგეობის თავმჯდომარეა ახალქალაქელი პედაგოგი ლამარა ფულაძე.

"თეძამში" მოქმედებს - ხეზე კვეთის, თექის, ხალხური სიმღერების, ეკოლოგიის, გერმანულის, ზოგადუნარების, კომპიუტერის, ხელოვნების შემსწავლელი წრეები.

თექის წრეს ხელმძღვანელობს ხათუნა ნაკაიძე, ჰყავს 12 მოსწავლე. ისინი ამზადებენ შარფებს, ქუდებს, ჩანთებს, ყვავილებს; აქვთ თავისი ინოვაციაც- სპეციალურად შექმნილ კალაპოტზე კერავენ თექის ჩუსტებს.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ არსებობის მანძილზე მრავალ წარმომადგენლობით გამოფენა-გაყიდვაზე წარსდგნენ ჩვენებურები თავისი ნამუშევრებით, მაგალითად, მეტეხი პალასში სამჯერ, კავკასიის სახლში, გრიბოედოვის სახელობის თეატრში ორჯერ. ორჯერ შედგა გამოფენა-გაყიდვა სოფელშიც. ჩვენს კითხვაზე რატომ არ უნახავთ მათი ნამუშევრები კასპში? გვიპასუხეს რომ შემოთავაზებისთანავე მზად არიან საკუთარი შემოქმედება წარუდგინონ კასპელებს.

ასე რომ, ველოდებით ახალქალაქელთა გამოფენას კასპში.

გაზაფხული მივიდა და ...

ქალთა დღე და გაზაფხულის მოსვლა ერთად აღნიშნეს კასპის მეოთხე საჯარო სკოლაში. საკონცერტო პროგრამის მომზადებისა და ზეიმის ჩატარების იდეა ეკუთვნის სკოლის მუსიკის მასწავლებელს ბიჭიკო ნონიაშვილს. საათნახევრიანი პროგრამა, რომელიც შედგენილი იყო როგორც დაწყებითი, ასევე უფროსკლასელი მოსწავლეების მონაწილეობით, ისეთი ხალისიანი და მრავალფეროვანი იყო, რომ ყველა მოიხიბლა. შესრულდა კლასიკოსი კომპოზიტორების (ბეთჰოვენი, რევაზ ლაღიძე, გიორგი ცაბაძე, ალექსანდრე ბასილაია, ვაჟა აზარაშვილი, ვიქტორ დოლიძე) მუსიკალური ნაწარმოებები.

მოწონება დაიმსახურა მეთერთმეტე კლასის მოსწავლის გიორგი სააკაშვილის გამოსვლამ, რომელმაც შთამბეჭდავად შეასრულა ცანგალას კუპლეტები ოპერიდან "დაისი". სანახაობრივად, მართლაც რომ, შეუდარებელი იყო მეშვიდე კლასის მოსწავლეების ჯონი ჯავახიშვილისა და ბექა სანაიას მიერ წარმოდგენილი ნომერი "სიკო და ნიკოს" სცენა უკვდავი ოპერიდან "ქეთო და კოტე".

წარმატებული გამოდგა მეექვსეკლასელი მოსწავლეების ლუკა ჯოლოგავას, ამირან იმერლიშვილისა და გენადი სანაიას დებიუტი. მათ მაყურებელს წარუდგინეს "მეგრული ნანა" და "მწყემსური." აღსანიშნავია ისიც, რომ მეშვიდე კლასის მოსწავლემ, აფხაზეთიდან დევნილმა ბექა სანაიამ კონცერტზე შეასრულა (ისწავლა ნოტების გარეშე, სმენით) ბეთჰოვენის ნაწარმოები. მოწონება დაიმსახურა აგრეთვე მერვე კლასის მოსწავლის გვანცა გელიაშვილის მიერ ფორტეპიანოზე შესრულებულმა მუსიკალურმა პიესამ.

საზეიმო შეხვედრა დაასრულა სკოლის გუნდმა, რომელმაც შეასრულა რევაზ ლაღიძის "ტყე შეუნახე შვილებსა".

საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ კონცერტის დაწყებამდე მოეწყო "ვეფხისტყაოსნის" სამასი წლისთავისადმი მიძღვნილი ნახატებისა და ნაქარგების გამოფენა. ზეიმზე მოსულმა მშობლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ეს გამოფენა, ხოლო შეხვედრის მსვლელობისას ნახატებისა და ნაქარგების ავტორებს გადაეცათ სიგელები.

კონცერტის ბოლოს დამსწრე საზოგადოებას, მოსწავლეებსა და მშობლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სკოლის დირექტორმა ქეთევან ხითარიძემ. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონი რუსუდან შენგელია, რომელმაც უდიდესი კმაყოფილება და მადლიერება გამოთქვა და დადებითად შეაფასა მოსწავლეების შემოქმედება.

რ. ხეჩუაშვილი.

გ ი ნ დ ა ვ თ, გვიცნოთ ნაციონალური, ნაკმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ჟვეყნიან და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

გ ი ნ დ ა ვ თ, გვიგოთ ერთიანეთა მოხალისეები ნაკეთებული ცხოვრებიან ჰერნაჰეკეთვის?

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,!

„სამშობლო, როგორც უფალი"

* *დასასრული. დასაწყისი მე-2 გვ.*

მა კომპოზიციამ, რომელშიც ჯაჭვის პერანგსა და ქართულ ჩოხაში გამოწყობილი მოსწავლეები ჯორჯი ჯანვერდაშვილი, ლუკა ნოდარიშვილი და ეროვნულ სამოსში გამოწყობილი გოგონა, თაკო ბერიძე მონაწილეობდნენ.

ღონისძიებას ესწრებოდა და სიტყვით მიმართა მოსწავლეებსა და პედაგოგებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ჯამბოლატ ქამხაძემ, მან მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელებთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღო და დახმარება აღუთქვა.

მოსწავლეთა შემოქმედება დადებითად შეაფასეს სტუმრებმა: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ნუნუ ყიფიანმა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიული სოზიაშვილმა, კასპის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მანანა ყაბანაშვილმა, კასპის მეოთხე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა გულო გიგაურმა.

ღონისძიების მონაწილე მოსწავლეებს ნუნუ ყიფიანმა გადასცა სიმბოლური საჩუქრები.

წიგნების გამოფენა-გაყიდვაზე იყავით?

მიმდინარე წლის 5-6 მარტს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოეწყო წიგნების გამოფენა-გაყიდვა. ამ ორდღიანი აქციის ორგანიზატორი გახლდათ გამომცემლობა "პალიტრა-ელი". გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი იყო ათასამდე დასახელების წიგნი.

მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო თუ სათავგადასავლო ლიტერატურის გარდა წიგნის მოყვარულებს სხვა ჟანრის არჩევანის საშუალებაც ჰქონდათ.

- უკვე მეორედ ვსტუმრობთ თქვენს ქალაქს, - განაცხადა გამომცემლობის გაყიდვების მენეჯერმა მარიამ ქავთარაძემ, - შარშან მარტის ბოლოს მოვაწყეთ კასპში წიგნების გამოფენა- გაყიდვა და კარგად ვიცნობთ აქაურ წიგნის მოყვარულებს. აქციის მიზანია კომფორტულად მოვემსახუროთ წიგნის მოყვარულებს და ამით ხელი შეეწყოთ, შევეცადოთ, რომ წიგნის კითხვა პრიორიტეტული გახდეს მოსახლეობისათვის.

ჩემპიონი

2013 წლის 10-12 თებერვალს მინსკში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ბელორუსიის პრეზიდენტის იური ლუკაშენკოს სახელობის თასზე ჭიდაობა სამბოში.

ასპარეზობაში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ნაკრები გუნდის ოთხი სამბისტი. ერთ-ერთი მათგანი კასპელი კახა მამულაშვილია, რომელიც ორდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ, ფინალში შეხვდა ბელორუს პაველ გაიშენს და დიდი უპირატესობით დაამარცხა.

ასე რომ 74კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა კასპის მუნიციპალიტეტის ლავრენტი კაციაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლის აღზრდილი კახა მამულაშვილი.

ვულოცავთ გამარჯვებას.

კასპელი სამბისტები ევროპის პირველობისათვის

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის სპორტღონისძიებათა კალენდარული გეგმით 2013 წლის 26-27 თებერვალს, ქალაქ თბილისში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში გაიმართა საქართველოს პირველობა სამბოში.

ლავრენტი კაციაშვილის სახელობის საჭიდაო სკოლიდან წარგზავნილი იყო 10 სპორტსმენი. მათ თან ახლდათ: ძიუდოს მთავარი მწვრთნელი – ნუგზარ მამულაშვილი, წარმომადგენელი ბერდია ნატროშვილი, საჭიდაო სკოლის დირექტორის მოადგილე იოსებ ბარნაბიშვილი და სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი.

კასპელმა სამბისტებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს სხვადასხვა წონით კატეგორიაში, გვყავს საქართველოს ჩემპიონი.

I ადგილი – კახა მამულაშვილი (74კგ),

II ადგილი – გიორგი იაძე (90კგ),

III ადგილი – ბექა ბერიაშვილი (68კგ).

შიდა ქართლელ პაატა ღვინიაშვილს გადაეცა წარსულში ცნობილი, ტრაგიკულად დაღუპული ევროპის ჩემპიონის ვანო გამხიტაშვილის სახელობის პრიზი.



შეჯიბრში – ჭიდაობა სამბოს ძირითადი ბირთვი გამოიკვეთა, – განაცხადა საქართველოს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯონდო მუზაშვილმა - 23-25 მარტს მოსკოვში ვიასპარეზებთ ხარლამ პაევის მემორიალზე და ევროპის პირველობაზე წამსვლელი გუნდი ამის შემდეგ დაკომპლექტდება.

ვულოცავთ ქართველ სპორტსმენებს ამ გამარჯვებას, მათ მწვრთნელებს რომლებიც ყოველთვის ემოციურად აღიქვამენ აღსაზრდელთა გამარჯვებას და მარცხს, გულშემატკივრებს, რომელთა შეძახილიც ამხნევებს სპორტსმენებს, ამ შემთხვევაში ერთი ცხადია, კახა მამულაშვილი და გიორგი იაძე მამების საყვარელ საქმეს დაეუფლნენ და წარმატებებსაც აღწევენ. იმედია, წინ მრავალი კვარცხლბეკი ელოდებათ.



საქართველოს პირველობა ძიუდოში

2013 წლის 23-24 თებერვალს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭიდაობა ძიუდოში 1996-1998 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. კასპის საჭიდაო სკოლიდან ჩემპიონატში მონაწილეობდა 9 ძიუდოისტი: გიორგი გაბინაშვილი, გიორგი კაციაშვილი, ვანო დვალიშვილი, ბონდო ბულბულაშვილი, შალვა ჯანანაშვილი,



ელგუჯა ხეჩიკაშვილი, ზურაბ ჭონიაშვილი, რობიზონ ბეგლარაშვილი და დავით გეჯაძე. სპორტსმენებს თან ახლდა ძიუდოს მთავარი მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი, წარმომადგენელი – ბერდია ნატროშვილი. მოასპარეზეთა შორის საპრიზო ადგილები მოიპოვეს:

I ადგილი – გიორგი კაციაშვილი (60კგ),
II ადგილი – რობიზონ ბეგლარაშვილი (50კგ),
III ადგილი – დავით გეჯაძე (50კგ).

შეგახსენებთ, რომ გიორგი კაციაშვილი შარშან (55 კგ-ში) გახდა ქვეყნის ჩემპიონი, (შემდეგ ევროპაზე ბრინჯაოც მოიპოვა),წლეულს გიორგიმ 60კგ-ში გადაინაცვლა და იქაც ჩემპიონი გახდა.

ცოტა ხნის წინ საქართველოს ნაკრების ძიუდოს მთავარ მწვრთნელად

დაინიშნა ტიტულოვანი ქართველი ძიუდოისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე. მზადება ახალი სეზონისათვის დიდი პასუხისმგებლობით დაიწყო. წინ ძიუდოისტებს ელოდებათ – 21-23 ივნისს ტალინში ევროპის ჩემპიონატი, 13-20 ივლისს ჰოლანდიურ უტრეხტში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, 8-11 აგვისტოს კი მაიამის მსოფლიო პირველობა. ცხადია, ამდენი ტურნირი ძიუდოისტებისათვის დიდი შანსია, მაგრამ სამ თვეში სამჯერ ასეთ დატვირთვას ერთეულები თუ გაუძლებენ. ამიტომ ცირეკიძეს ნამდვილად მოუწევს შემადგენლობის საფუძვლიანი როტაცია. ნაკრებში მოსახვედრად პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა – ქვეყნის პირველობამ საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიარა. მივულოცოთ ქვეყნის ჩემპიონებს, საპრიზო ადგილის მფლობელებს, მათ მწვრთნელებს და დაველოდოთ ჭაბუკების შეჭიდებას.

კასპელები საგარეჯოში

1-2 მარტს საგარეჯოში ჩატარდა საქართველოს მრავალგზის პრიზიორის, რესპუბლიკური მრავალი ტურნირის ჩემპიონის და პრიზიორის – თავისუფალ ჭიდაობაში ოთარ არჩვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.

კასპის მუნიციპალიტეტის ლავრენტი კაციაშვილის სახელობის სკოლიდან წარგზავნილი იყო 1999-2000 წწ. დაბადებული 10 სპორტსმენი,

მწვრთნელი – ზელიმხან ილურიძე, წარმომადგენელი თემურ გაბოძე. მათ ასახელეს კასპის რაიონი. გვყავს ჩემპიონებიც. იცნობდეთ, ესენი არიან:

I ადგილი – დანიელ მარქარაშვილი (42კგ),

II ადგილი – მევლუდ კაკიაშვილი (46კგ),

II ადგილი – ედი ბუღულაშვილი (58კგ),

II ადგილი – თამაზ კვესიაშვილი (70კგ).

ქ. მონასელიძე, კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი.

გიგლა გოგბეჩია

*დასასრული. დასაწყისი იხ "ახალი განთიადი" №4

მთავარია რწმენა

ყველაფერი ეს 2000 წელს დაიწყო, როცა ვერნერს ვახშმად თავისი ცოლის ძველი მეგობარი ეწვია. მასპინძლებს თვალში მოხვდათ სტუმრის მეტისმეტი სიგამხდრე. როცა მას ჰკითხეს, ხომ არ ავადმყოფობდა, ქალმა თქვა, რომ უკვე დიდი ხანია, რაც საკვების მიღება შეწყვიტა. სტუმრის თქმით, მან გარდაქმნის პროგრამა გაიარა და ახლა მხოლოდ მზის ენერგიით იკვებებოდა.

ვერნერი ამ დროისათვის 100 კილოს იწონიდა, აღმერთებდა პიცასა და სხვა ნუგბარებს, თუმცა ამავე დროს თავადაც უკმაყოფილო გახლდათ საკუთარი გარეგნული იერითა და ცხოვრების წესით. ამიტომაც ქალის ნათქვამმა იგი ძალზე დააინტერესა, მაგრამ ახალი ცხოვრების დასაწყებად ძალები რომ მოეკრიბა, ვერნერს 10 თვე მაინც დასჭირდა.

იმ გარდაქმნის პროგრამის განხორციელებამ, რომელსაც სტუმარი ახსენებდა, მთელი სამი კვირა წაიღო. ყველაზე რთული პირველი კვირა აღმოჩნდა, როცა ვერნერი არც ჭამდა და არც სვამდა. იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანს შიმშილზე გამარჯვებაში საკუთარ ძალებში რწმენა ეხმარება.

მეცნიერებმა ზუსტად არ იციან, ადამიანს უწყლოდ მაქსიმუმ რამდენ ხანს შეუძლია გაძლოს. გაბატონებულია აზრი, რომ ეს 7-10 დღეა. თუმცა ტვინში ნატრიუმისა და კალიუმის შემადგენლობის მკვეთრი მომატების გამო ძლიერი გაუწყლოება და თავბრუსხვევა კიდევ უფრო ადრე იჩენს ხოლმე თავს. ეს მხოლოდ სახლის პირობებშია შესაძლებელი, თორემ უდაბნოში ადამიანი უწყლოდ ერთი დღე-ღამეც ვერ გაძლებს.

პროფესორი ვერნერი თავის თავს სრულიად ჩვეულებრივ ადამიანად კი თვლის, მაგრამ მას მაინც უნიკალური ორგანიზმი აქვს – 183 სმ სიმაღლისაა, 79 კილოს იწონის, მაგრამ გამოფიტული კაცის შთაბეჭდილებას სულაც არ ტოვებს. " ჩემს სიცოცხლეში თავი ასე ჯანმრთელად და ენერგიულად არასოდეს მიგრძვნია, – ამტკიცებს ვერნერი, – პრაქტიკულად, ავად აღარც ვხდები. ფსიქოლოგიურად სტაბილური მდგომარეობა მაქვს, აზროვნება და მეხსიერებაც გამიუმჯობესდა. ადრე 8-9 საათი მეძინა, ახლა კი 5-6 საათი მყოფნის.

ცოტა რამ ისტორიიდან

ბრისარიანისტთა მოძრაობას თავისი ისტორია აქვს. ამერიკული ინსტიტუტი უაილი ბრუკსმა დააარსა, იგი ამტკიცებდა, რომ 19 წლის განმავლობაში არაფერი ეჭამა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იგი მაშინ დააფიქსირეს, მაღაზიაში ქათმის ღვეზელს რომ უკვეთავდა. ეს იყო 1983 წელს. ამიტომაც ფაქტმა, რომელმაც პრესაში გაიჟღერა, საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პერიოდში რამდენიმე ქალმა ბრუკსის რჩევების მიხედვით შიმშილობა დაიწყო, მაგრამ ისინი კომაში ჩაცვივდნენ და გარდაიცვალნენ.

90-იანი წლების ბოლოს ამ მოძრაობის არაფორმალური ლიდერი ავსტრალიელი ელენ გრივზი გახდა. იგი მთელ ქვეყანაში მოგზაურობდა და მზის სინათლით კვების სარგებლობის შესახებ ლექციებს კითხულობდა. ერთხელ ელენს ბრისბეინში მდებარე სახლში ჟურნალისტები ესტუმრნენ და ორივე მაცივარი პირთამდე გამოტენილი რომ ნახეს, მისი ავტორიტეტიც მაშინ შეირყა. თუმცა მოშიმშილეთა ლიდერი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ეს მისი ქმრისთვის განკუთვნილი საკვები იყო.

1999 წელს დაინტერესებულმა პირებმა სცადეს მისი შემოწმება, მაგრამ ექსპერიმენტი ჩაიშალა – ოთხდღიანი შიმშილობის შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან გაუარესდა. ელენმა თავი იმ სტრესული მდგომარეობით გაიმართლა, რომელშიც იგი ექსპერიმენტის დროს იმყოფებოდა.

რაც შეეხება მიხეილ ვერნერს, მან, როგორც მინიმუმ, ორჯერ მაინც განაცვიფრა სკეპტიკოსები. იგი წარმატებით მონაწილეობდა ორ ათდღიან ექსპერიმენტში, რომელიც ექიმთა მეთვალყურეობით ჩატარდა. ექიმები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ მზის სინათლისგან კვება შეუძლებელია. მათი აზრით, თუნდაც ადამიანმა პირველი სამი კვირა ეს შეძლოს, გარკვეული პერიოდის შემდეგ ყავა და მხოლოდ ჰაერზე ყოფნის რეჟიმი ნებისმიერს აუცილებლად სიკვდილამდე მიიყვანს. სხვათა შორის, თავად ვერნერი ხირა მანეკისაგან განსხვავებით, სხვებს სულაც არ ურჩევს, მის მაგალითს მისდიონ. იგი ასევე არ ეთანხმება მანეკის აზრს ამის თაობაზე, რომ ჩვენი პლანეტა შიმშილისაგან სწორედ მზემ უნდა გადაარჩინოს.

– პრობლემა ფსიქოლოგიაშია, – ამბობს ვერნერი, - ძალიან ძნელია ადამიანთა გადარწმუნება, რომ, თუკი ისინი ჭამას შეწყვეტენ, მაშინ შიმშილისაგან არ მოკვდებიან. თეორიულად ეს შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად, ჩემი აზრით, სინათლით კვებას არ შეუძლია კაცობრიობას შიმშილის პრობლემა გადაუწყვიტოს.

დიდმარხვის პირველი შვიდეულის შაბათს

მე ქრისტიანი ვარ!

უსჯულო მეფეებმა მაქსიმიანემ და მაქსიმინემ გამოსცეს ბრძანება: თუ ქრისტიანი ნაკერპავს შეჭამდა, არ დაისჯებოდა, ხოლო თუ ამაზე უარს იტყოდა, სამსჯავროს გადაეცემოდა. იმ დროს მხედრად ახლად განწესებული წმ. თეოდორე ტირონი მარმარიტელთა პოლკში დაინიშნა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პრეპოზიტი სახელად ბრინკა. ეს პოლკი პონტოს ქალაქ ამასიაში იდგა, როდესაც წმ. თეოდორე პოლკში მიიყვანეს, უსჯულოებმა მოსთხოვეს მსხვერპლი შეეწირა ღმერთებისათვის. მაშინ ქრისტეს ჭეშმარიტმა მხედარმა, სულიწმიდით აღვსებულმა ყველას გასაგონად წარმოთქვა:

- მე ქრისტიანი ვარ და არ შემფერის საძაგელი, წარმართული ღმერთებისთვის მსხვერპლის შეწირვა, რამეთუ თაყვანს ვცემ იესო ქრისტეს - ჭეშმარიტ ღმერთსა და ზეციურ მეფეს.

არ დაემორჩილა თეოდორე ურჯულოებს და მოსაფიქრებლად მიცემული დრო ლოცვაში გაატარა.

მოთმინებადაკარგულმა მსაჯულმა ბრძანა თეოდორე დილეგში ჩაეგდოთ, კარი ჩაეკეტათ და შიმშილით მოეკლათ. მაგრამ სულიწმინდა თავისი მადლით შეეწეოდა წმინდანს.

ერთხელ ღამით თეოდორეს თვით უფალი იესო ქრისტე ეჩვენა და უთხრა: - გამხნევდი თეოდორე, მე შენთანა ვარ, ნუ მიიღებ მიწიერ საზრდელს და სასმელს, რამეთუ შენთვის გამზადებულია საუკუნო ცხოვრება ცათა შინა.

გამოცხადებით ნუგეშისცემულმა ნეტარმა თეოდორემ სულით განიხარა და ფსალმუნების გალობა დაიწყო, მას ყურს უგდებდა წმიდა ანგელოზთა დიდი დასი. დილეგის მცველნი ამ ტკბილი გალობის გაგონებაზე საკნის კარებთან მივიდნენ, როდესაც დარწმუნდნენ კარი ჩაკეტილია და ბეჭედი ხელუხლებელი, ფანჯრიდან შეიხედეს და დაინახეს, რომ თეთრ შესამოსელში გამოწყობილ კაცთა სიმრავლე წმ. თეოდორესთან ერთად გალობდა.

შეშინებულმა მცველებმა ყოველივე ჰეგემონ პუბლიუსს აუწყეს, მან კი მაშინვე დილეგს მიაშურა. როდესაც ნახა, რომ ბოქლომი და ბეჭედი მთელი იყო, შიგნიდან კი მგალობლების ხმა ისმოდა, ჯარისკაცებს უბრძანა, - ყოველი მხრიდან ალყა შემოერტყათ დილეგისათვის, რადგან ფიქრობდა - ეტყობა, შიგნით თეოდორესთან ერთად სხვა ქრისტიანებიც არიანო. მაგრამ საკანში რომ შევიდა, იქ არავინ დახვდა წმ. თეოდორეს გარდა, რომელსაც ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა. შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო ჰეგემონიც და ყველა იქ მყოფიც. როდესაც გარეთ გამოვიდნენ, კარს ისევ ბოქლომი დაადეს. მსაჯულმა ბრძანა, წმ. თეოდორესთვის ყოველდღე მიეცათ ცოტა-ცოტა პური და წყალი, მაგრამ როგორც საღმრთო წერილი ამბობს: "მართალი სარწმუნოებით ცხოვნდეს" (ამბაკ. 2,4; რომ. 1627), და წმ. თეოდორემაც არ ინდომა საზრდელის მიღება, არამედ თქვა, "მე მასაზრდოებს უფალი და მეუფე ჩემი - იესო ქრისტე".

დილით მსაჯულმა ბრძანა, წმიდანი სამსჯავროზე გაეყვანათ და უთხრა:

- შეისმინე ჩემი რჩევა და ნუ მაიძულებ, ვბრძანო გტანჯონ და გაწამონ; შესწირე მსხვერპლი დიდ ღმერთებს. მაშინ მე მივწერ ჩემს მეფეებს - მსოფლიოს მბრძანებლებს და ისინი მთავარ ქურუმად დაგადგენენ. ამგვარად ჩვენი თანასწორი პატივის ღირსი გახდები.

წმ. თეოდორემ თვალები ზეცად აღაპყრო და პირჯვარი გამოისახა, მერე კი მიუგო მტარვალს:

- გინდა სხეული ცეცხლით დამიშანთო, ათასგვარ წამებას მიმცე, ხმლით ასო-ასო ამქნა, მხეცებს მიუგდო ჩემი თავი შესაჭმელად - ქრისტეს მაინც არ განვეშორები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე!

მაშინ მსაჯული პრეპოზიტს მოეთათბირა და ბრძანა, თეოდორე ხეზე მიებათ, მისი სხეული კი რკინის სამთითებით ეჯიჯგნათ.

ასე აწამეს წმიდანი მანამ სანამ ძვლები არ გაუშიშვლდა. ამ დროს ნეტარი თეოდორე მტარვალს არაფერს ეუბნებოდა და მხოლოდ გალობდა: "ვაკურთხო უფალი, ყოველსა ჟამსა, მარადის ქებაი მისი პირსა ჩემსა" /ფსალმ. 33,1./

მტარვალმა წმ. თეოდორეს ამგვარი მოთმინებით გაოცებულმა ჰკითხა:

- ნუთუ შენ, კაცთა შორის უსაძაგლესო, არ გეთაკილება მთელი შენი სასოება დაამყარო ადამიანზე, რომელსაც ქრისტე ეწოდა და თვითონ დასაჯა სამარცხვინო სიკვდილით? ნუთუ ამ ადამიანის გულისთვის იტანჯები ასე განუსჯელად?

ქრისტეს მოწამემ მიუგო:

- ნეტავი მეც და ყველასაც, ვინც იესო ქრისტეს სახელს აღიარებს, ისეთივე სირცხვილი გვერგოს წილად, როგორიც მას!

ამ სიტყვებზე ხალხმა ყვირილი მორთო: მოითხოვდნენ დაეჩქარებინათ წმიდანის დასჯა. მსაჯულ მაშიკრიკის პირით ერთხელ კიდევ ჰკითხა თეოდორეს:

- შესწირავ თუ არა მსხვერპლს უკვდავ ღმერთებს, თუ კიდევ მეტი წამების დათმენა განგიზრახავს?

ქრისტეს მოწამემ მტკიცედ მიუგო:

- უსჯულოო, ყოველი ბიწით და ზაკვით აღსავსევ, ეშმაკის მსახურო, შენ თვითონ არ გეშინია ღმერთის, რომელმაც ასეთი ძალა და ხელისუფლება მოგანიჭა? ხომ ამბობს უფალი: " ჩემ მიერ მეფენი მეფობენ ... და მძლავრნი ჩემ მიერ იპყრობენ ქუეყანასა" /იგავ. 8,15-16/. ან როგორ უნდა მაიძულო ცხოველი ღმერთის დატოვება და უსულო ქვის თაყვანისცემა?

მსაჯული დაფიქრდა და ბოლოს თეოდორეს ჰკითხა:

- რას ირჩევ, ჩვენთან ერთად იქნები თუ შენს ქრისტესთან?

წმიდანმა სიხარულით მიუგო:

- მე ჩემს უფალ იესო ქრისტესთან ვიყავი, ვარ და ვიქნები, შენ კი ისა ჰქმენ, რაც გენებოს!

როდესაც მსაჯულმა დაინახა თეოდორეს სიმტკიცეს ვერ გატეხდა, მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

- ვბრძანებ ცეცხლს მიეცეს თეოდორე, რადგანაც იგი არ ემორჩილება მეფეთა ძალაუფლებას, არ აღიარებს ღმერთებს და სწამს იესო ქრისტე - ჯვარცმული, როგორც იუდეველნი ამბობენ, პილატე პონტოელის დროს.

მტარვალის ეს ბრძანება სწრაფად შესრულდა. მსახურებმა მახლობელი სახლებიდან და აბანოებიდან

*დასასრული მე-8 გვ.

მე ქრისტიანი ვარ!

*დასასრული.

ბევრი შეშა მოზიდეს, კოცონი გააჩაღეს და წმ. თეოდორე ამ კოცონთან მიიყვანეს. ყოველი მხრიდან გაღვივებული ცეცხლი უმალვე აბრიალდა. ცეცხლში შესულმა წმ. თეოდორემ პირჯვარი გამოისახა. უეცრად სულიწმიდა გარდამოხდა და შუა ცეცხლში ჩამდგარ წმიდანს სიგრილე მოჰფინა, ის კი სიხარულით აქებდა, უგალობდა უფალს და მასვე მშვიდობით შეჰვედრა სული.

"და ჩვენ ვიხილეთ, როგორ აიჭრა ზეცად მისი წმიდა და პატიოსანი სული" - წერს დიდმოწამის ნეტარი აღსასრულის ერთერთი მომსწრე.

ერთმა ღვთისმოსავმა ქალმა, სახელად ევსევიამ გამოითხოვა წმიდა დიდმოწამის სხეული. როდესაც მას წმიდანის ნაწილები მისცეს, ევსევიამ სურნელოვანი მირონი სცხო მათ, სუფთა ტილოში შეახვია და თავის სახლში, ქალაქ ევქაიტში დაკრძალა, სადაც ყოველდღე აღასრულებდა წმიდანის ხსენებას. წმ. დიდმოწამე თეოდორე ეწამა 306 წელს, 17 თებერვალს იმპერატორ მაქსიმიანეს მეფობის დროს.

სასწაული

კონსტანტინე დიდის ძის, კონსტანციუსის შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა იულიანე განდგომილი, რომელმაც უარყო ქრისტე, კერპთმსახურებას შეუდგა და ქრისტიანების დიდი დევნა დაიწყო. იულიანე ქრისტიანებს იმდენად აშკარად არ დევნიდა, რამდენადაც ფარულად - იგი ვერ ბედავდა უკლებლივ ყველა ქრისტიანის სასტიკად წამებას, რადგანაც ეშინოდა, ქრისტიანების მოთმინების მაგალითზე ბევრი წარმართი თვითონაც ქრისტეს სჯულზე არ მოქცეულიყო. ამიტომ ამ უსჯულო მეფემ განიზრახა ფარულად შეებილწა ქრისტიანები: მან იცოდა, რომ დიდმარხვის პირველ კვირას მორწმუნენი მარხვას განსაკუთრებით წმინდად ინახავენ და ცოდვებს ინანიებენ, იხმო ქალაქის თავი და უბრძანა, მთელი კვირის მანძილზე ყოველდღე შეებღალა ბაზარში გასაყიდი სანოვაგე სამსხვერპლო ცხოველების სისხლით (ნაკერპავის ჭამა ქრისტიანებს ეკრძალებათ).

მეფის ბრძანება შესრულდა და ყველა ბაზარში უსჯულოთაგან წაბილწული სანოვაგე იყიდებოდა. მაგრამ ყოვლისმხედველმა უფალმა შეარცხვინა წარმართნი და იზრუნა თავის ჭეშმარიტ შვილთათვის: კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოს ევდოქსის მან მიუვლინა თავისი მოწამე თეოდორე, რომელიც მრავალი წლის წინ ეწამა ქრისტესთვის და ახლა დიდებით განისვენებდა ზეცათა სასუფეველში. წმ. თეოდორე ეჩვენა ევდოქსის არა სიზმარში, არამედ ცხადად, და უთხრა:

- ახლავე შეკრიბე ქრისტეს სამწყსო და უბრძანე ყველა მართლმადიდებელს, არავინ იყიდოს ბაზრებში სანოვაგე, რადგანაც იქ უსჯულო მეფის ბრძანებით ყველაფერი სამსხვერპლო ცხოველების სისხლით არის წაბილწული!

გაოცებულმა მთავარეპისკოპოსმა ჰკითხა, რა ქნას ღარიბმა ხალხმა, ვისაც სახლში მარაგი არ გააჩნიაო. წმინდანმა მიუგო:

- მიეცი მათ კოლიო და იხსენი ამ გაჭირვებისაგან!

ევდოქსიმ არ იცოდა რა იყო კოლიო და გაკვირვებული შეჰყურებდა წმინდანს.

მაშინ წმ. თეოდორემ უთხრა:

- კოლიო არის თაფლთან ერთად მოხარშული ხორბალი - ასე ეწოდება ამ კერძს ევქაიტში.

ეპისკოპოსმა ჰკითხა:

- ვინ ხარ შენ და რატომ ზრუნავ ასე მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის?

წმინდანმა მიუგო:

- მე ვარ ქრისტეს მოწამე თეოდორე და ღმერთმა მომავლინა თქვენს შემწედ.

ასე თქვა წმინდანმა და თვალს მიეფარა. ევდოქსიმ მყისვე შეკრიბა ყველა ქრისტიანი და უამბო მათ რაც ნახა და მოისმინა, მერე კი კოლიო მოამზადა და მტრის მზაკვრობისგან იხსნა სამწყსო. როდესაც უსჯულო მეფე მიხვდა - ჩემმა ხერხმა არ გასჭრაო, შერცხვა და ბრძანა ბაზარში კვლავ წაუბილწავი სანოვაგე მიეტანათ. ქრისტიანებმა კი მადლობა შესწირეს ღმერთს მისი გამოუთქმელი წყალობისათვის და ქება შეასხეს დიდმოწამეს, წმ. თეოდორეს: დიდმარხვის პირველი შვიდეულის შაბათს წმ. თეოდორეს ხსენება იდღესასწაულეს და მის პატივსაცემად აკურთხეს კოლიო მორწმუნეთათვის. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე ეკლესია დიდ მარხვის პირველ შაბათს მთავარეპისკოპოს ევდოქსის დროს მომხდარი სასწაულის სახსენებლად აკურთხებს კოლიოს და ადიდებს წმ. თეოდორეს, რათა ქრისტიანებს მუდამ ახსოვდეთ ღმერთის მოწყალე განგება თავის მონებზე და წმ. დიდმოწამე თეოდორეს შეწევნა.

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

რობიზონ ბუნტური



12 მარტი შენი დაბადების დღეა, რობიზონ, წელს 71 წელი შეგისრულდა.

ვერ ვეგუები, მიჭირს უშენოდ ცხოვრება. მესამე თვეა, რაც ჩვენგან წახვედი. ერთი დღეც არ ყოფილა, რომ შენზე არ მეფიქროს.

რობიზონ, 45 წელი გავატარეთ ერთად, მარტო ცოლ-ქმარი კი არა, ჩვენ მეგობრებიც ვიყავით. შენეული დარიგება და რჩევა მუდამ მეხმარებოდა და მამხნევებდა, ძალას მმატებდა.

წლების განმავლობაში ებრძოდი უკურნებელ სატკივარს. ყველაფერი იღონეს შვილებმა შენს გადასარჩენად, მაგრამ ვერ დაამარცხეს მძიმე სენი, ვწუხვართ.

ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ, რობიზონ.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სული.

მეუღლე ნარგიზა
მესტუმრე-ბუნტური.

ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲗ!

ᲓᲐᲓᲒᲝᲕᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲧᲕᲐᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲪᲘᲜᲔᲨᲘ!

ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲗ!



,,ᲮᲚᲘᲚᲘ ᲒᲖᲜᲝᲘᲐᲕᲚᲘ,, ᲘᲫᲘᲔᲑᲔ ᲩᲕᲘᲜᲓᲘᲠᲘᲓᲗ ᲩᲣᲠᲩᲗᲘᲔᲑᲔ ᲠᲩᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲕᲒᲖᲔᲗ ᲗᲝᲓᲗ-ᲛᲪᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲒᲩᲕᲭᲛᲜᲘᲚᲝᲕᲚ. ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲛᲘᲕᲛᲔᲠᲩᲗᲔᲕᲗ ᲗᲕᲜᲕᲠᲩᲘᲝᲜᲘᲚᲘᲔᲑᲔ - ᲓᲐᲓᲒᲝᲕᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲧᲕᲐᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲪᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲒᲩᲕᲭᲛᲜᲘᲚᲝᲕᲚ! ᲒᲕᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲕᲜᲘᲗ ᲩᲕᲘᲜᲓᲘᲠᲘᲓᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲩᲕᲚᲘᲓᲗ ᲗᲝᲓᲗᲘᲔᲑᲘ!

ძვირფასო ბავშვებო!

წინ მოულოდნელად სასიამოვნო შეხვედრები გელოდებათ. მობრძანდით რედაქციაში, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "ეეხურა."

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ,,ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ,,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ. ᲛᲝᲬᲐᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡ�ტᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ.
ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲖᲔ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲠ ᲐᲒᲔᲑᲡ.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲜᲐᲜᲐ ᲛᲔᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
2600 Ქ ᲥᲐᲡᲞᲘ
ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ Ქ. № 68
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 22-25-76